განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 14-15 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
07.07.2021

თბილისი
2021 წ.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	გეოგრაფიის (ფიზიკური)[3] მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	მეშვიდე
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 12/03/2012, №54

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

[3] „კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში .“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ელიზბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი), საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ლობჯანიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამაში მითითებული შესაბამისი ლიტერატურა.

- მთლიანობაში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“ ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის, სფეროსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამა შეძლებს დარგის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას. ტურისტული ზონის განვითარებისთვის განსაკუთ-რებული მნიშვნელობა ენიჭება სანაპირო ზოლში არსებულ გეოეკოლოგიურ მდგომარეობას და სხვა რეგიონალურ თავისებურებებს. წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვანია ასევე საზღვრისპირა რეგიონებში სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის, რეგიონის მდგრდი განვითარებისათვის და სხვ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2021 წლის 14-15 ივნისს ჰიბრიდული ფორმატით, კერძოდ, უშუალოდ დათვალიერებისა და დისტანციური ინტერვიუს საშუალებით (2021 წლის 07 ივნისის ბრძანება N530013). 14 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები ადგილზე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის ორი წევრი ესწრებოდა დისტანციურად, თვალს ადევნებდა ელექტრონულად

დათვალიერების პროცესს. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მხრიდან გამოხატული იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობის მზაობა. ასევე, ექსპერტებს მიეცათ სრული შესაძლებლობა, დაეთვალიერებინათ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფის წევრთა და უნივერსიტეტის წარმომადგენელთა შეხვედრა წარიმართა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად.

მეორე დღეს, 15 ივნისს, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განაგრძო დისტანციურად, სახელდობრ, ინტერვიუ შედგა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან. ინტერვიუს დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ.

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.1. – შეფასებულია, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

რეკომენდაციები

- არჩევითი სასწავლო კურსი „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“) სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა;
- რეკომენდირებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად განსაზღვრული წესით.
- ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“, „ინგლისური ენა B2.1”, „ინგლისური ენა C1.1.”) სილაბუსით შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების დაკონკრეტება, ასევე აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ მათი განხორციელება რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;
- ანტიპლაგიატის პროგრამის (turnitin-ის) დოკუმენტის გამოყენების წესის დაზუსტება და ინფორმირებულობის გაზრდა;
- რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ აქტივობებზე (ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვ.) მეტი ყურადღების გამახვილება;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დამუშავების შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნების დახვეწა, დეტალური აღწერა, აკადემიური წერის სტანდარტების მეტად გათვალისწინება;
- შიდა ხარისხის მონიტორინგის უფრო ეფექტიანად წარმართვა, კერძოდ, შეფასებების ანალიზი, როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსთა სილაბუსების სრულყოფის მიზნით. ასევე საკვლევი ინსტრუმენტების (კითხვარების) დახვეწა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓ კარგი იქნება პროგრამის მიზნებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებაზე აქცენტის გაკეთება;

✓ სასურველია, სილაბუსებში უფრო დეტალურად აისახოს პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა, ხოლო სალექციო მეცადინეობებში უფრო ნათლად გაიწეროს თემის სათაური და მისი მოკლე სტრუქტურა;

✓ კარგი იქნება, სწავლის შედეგებში, ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სათანადო ზმნებით გამოიყოს „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“;

✓ უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს იმგვარად, როგორც ეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არის გათვალისწინებული, კერძოდ, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;

✓ კარგი იქნება, გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ტრენინგები შეფასების კრიტერიუმებსა და სწავლება-სწავლის მეთოდებზე;

✓ არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება;

✓ სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების დინამიკის შენარჩუნება და კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის გაძლიერება;

✓ სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
✓ სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის გამრავალფეროვნება უახლესი ქართული და უცხოენოვანი წყაროებით;
✓ სასურველია, უნივერსიტეტი დაეხმაროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეროვნული და საერთაშორისო გრანტების მოძიებაში;

✓ სასურველია სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება;
✓ სასურველია, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულად უზრუნველსაყოფად, საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, დაკონკრეტდეს დაგეგმილი ძირითადი აქტივობები;
✓ სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების ამოქმედება;
✓ ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დახვეწა და ამ ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციების უფრო მეტად გათვალისწინება;
✓ სასურველია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევაში მკაფიოდ გამოიყოს კითხვა/კითხვები, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელით კმაყოფილებისა და კონსულტაციების სისტემატურობის შესახებ;
✓ კარგი იქნება, გარე შეფასების ფორმაში იყოს ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების დასაბუთება-ახსნისთვის სათანადო გრაფა, რომელშიც მოკლედ იქნება პროგრამასთან დაკავშირებით მიგნებები არგუმენტირებული.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- გამარტივებული და მოქნილი ელექტრონული მომსახურება სტუდენტთათვის;
- განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბსუ-ში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის არსებობას, რომელიც ეხება ტურიზმის განვითარებას, სანაპირო ზოლში არსებულ გეოეკოლოგიურ პრობლემებს და სხვა რეგიონალურ თავისებურებებზე აკეთებს აქცენტს. ის ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საზღვრებისათვის, საზღვრისპირა რეგიონებში სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის, რეგიონის მდგრდი განვითარებისათვის და სხვა;
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობითი მუშაობა.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ასახული ის ცოდნა და უნარები, რომელთა განვითარებაც გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, პროგრამის მიზანია: • ღრმა და სისტემური ცოდნის შეძენა გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ბუნებრივ- გეოგრაფიული პროცესების სივრცე დროითი თავისებურებების, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და არსებული გეოეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერება. • თეორიული ცოდნის საფუძველზე, ველზე მუშაობისას შეეძლება ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიულ პროცესებზე დაკვირვება, ხელსაწყოების გამოყენება, მასალების შეგროვება-გაანალიზება, ბუნებრივ გარემოზე მონიტორინგი და მიღებული მონაცემების საუძველზე დასკვნების გაკეთება. აგრეთვე, შეძლებს შეაფასოს ლანდშაფტის პოტენციალი, გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი და დაადგინოს ეკოლოგიური მდგრადობა საზოგადოების განვითარების უზრუნველსაყოფად; • ეთიკური პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად შეძლებს, შეაფასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი პრინციპების დამკვიდრებაში, ასევე მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპლექსური ან მულტი დისციპლინური სამუშაო გარემოს მართვას და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმისა და დებულების შესაბამისად, ყურადღება მახვილდება კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის – გეოგრაფის მომზადებაზე, რომელიც იქნება მშობლიური ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციის პატივისცემის მქონე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების და აქტიურობის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, არის თავისუფალი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი პიროვნება. პროგრამა კონკურენტუნარიანია და ორიენტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, იგი მიღწევადია, რადგან როგორც კვლევები ადასტურებს, კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან როგორც საგანმანათლებლო, ასევე ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, ამინდის პროგნოზირების, მეტეოროლოგიისა და ჰიდროლოგიის

სამსახურებში და საჯარო სკოლებში გეოგრაფიის მასწავლებლად. პროგრამის მიერ დასახული მიზნები გამჭვირვალეა, მიღწევადია და მიმართულია ფიზიკური გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე. თუმცა პროგრამით განსაზღვრული მიზნების ჩამონათვალში არ გხვდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მომზადება. არადა პროგრამაში მითითებულია, რომ მიღებული კვალიფიკაციის შემდეგ მაგისტრს შეეძლება, დასაქმდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სამეცნიერ-კვლევით ინსტიტუტში. ამასთან, სამეცნიერო-კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავება მაგისტრატურის საფეხურზე უმნიშვნელოვანესია, მით უფრო, რომ მაგისტრატურაში შემოდის კვლევითი კომპონენტი და სამაგისტრო ნაშრომის დაწერაც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; ○ კურიკულუმი; ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; ○ ფაკულტეტის დებულება; ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამტკიცების შესახებ“; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge ; ○ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მიღების თარიღი: 2004 წლის 21 დეკემბერი, N688-რს; ○ სამაგისტრო ნაშრომი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება პროგრამის მიზნებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებაზე აქცენტის გაკეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას.
პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგების შემდეგი ფორმულირება:

1. ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე პროცესების, ფიზიკური გეოგრაფიის, ბუნებათსარგებლობისა და ბუნებრივ გარემოზე მონიტორინგის კვლევის მეთოდების შესახებ. გააცნობიერებს ლანდშაფტში ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებებს სივრცესა და დროში, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესებს და შეძლებს აღწერა შეფასებას კომპლექსური მეთოდების გამოყენებით.
2. შეძლებს თეორიული ცოდნის საფუძველზე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და უახლესი მეთოდების გამოყენებით, ორიგინალური გზების მოძიებით უცნობ გარემოზე დამოუკიდებლად მონიტორინგს, მიღებული შედეგების აღწერა-გაანალიზებას, დოკუმენტირებას და პრეზენტაციას.
3. შეეძლება სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში საჭირო ინფორმაციის მოპოვება, კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება;
4. გაანალიზებს ადგილობრივი შრომის ბაზრის თავისებურებებს, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის პოტენციალს და მათი გათვალისწინებით ცალკეული ბუნებრივი რესურსის ეკონომიკურ ეფექტურობაზე დაყრდნობით სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობით შეძლებს პროფესიულ საზოგადოებასთან მოხსენების გაკეთებას;
5. დამოუკიდებლად შეძლებს თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების

გამოყენებით კონკრეტულ ბუნებრივ გარემოში პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანას.

6. შეძლებს მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპლექსური ან მულტი დისციპლინური სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას თანამედროვე სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;
7. შეძლებს თავის და სხვების დამოკიდებულების შეფასებას ეკოლოგიურად მდგრადი ბუნებრივი გარემოს უზრუნველსაყოფად და წვლილის შეტანას ამ ღირებულებების დამკვიდრებაში. ასევე, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას.

პროგრამის სწავლის შედეგები არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის მიღწევადი, და რეალისტური, ამასთან პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში, რომელიც ადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სტრუქტურასთან და ინდივიდუალური სასწავლო კომპონენტების კონტრიბუციას მათ განვითარებაში. მართალია, პროგრამაში აღწერილი სწავლის მიზნები მთლიანობაში შესაბამისობაშია შედეგებთან, თუმცა სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ისე, რომ მოკლებულია სიზუსტესა და გაზომვადობას. კერძოდ პროგრამის შედეგებში ძალიან ხშირად ვხვდებით ზმნას „შეუძლია“ და ან“ შეძლებს“, რაც არ არის გაზომვადი და შეფასებადი. მიგვაჩნია, რომ ამ ზმნების შეცვლა-დაზუსტება, ბლუმის კლასიფიკაციის მიხედვით, რაც პროგრამის მიზნების მიღწევადობას, სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას გაზომვადსა და შეფასებადს გახდის.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იქნა ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგან¬მანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და შესაბამისი პროცედურები.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა/განახლებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები და კურსდამთავრებულები და პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასება დაიწყება განახლებული სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებისთანავე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი მეთოდი გულისხმობს მონაცემების შეგროვდებას სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით, ხოლო არაპირდაპირი შეფასება გულისხმობს პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების და კურსდამთავრებულების, ფოკუს ჯგუფების, პროგრამის დამსაქმებლების რაოდენობრივ გამოკითხვებს, ბსუ-ს ხარისხის კონცეფციის და პროგრამის განხორციელების შეფასების წესის მიხედვით. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება სამაგისტრო პროგრამის პერიოდულ შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის განხორციელებასა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი დეპარტამენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ისე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის კურსდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
- ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- გამოკითხვის შედეგები;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები (სამაგისტრო ნაშრომები);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge ;
- მაგისტრებთან გასაუბრება.
- სამუშაო ჯგუფის ოქმი №2, N4, N6;
- სწავლის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემის მისამართი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, სწავლის შედეგებში, ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სათანადო ზმნებით გამოიყოს „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და

„პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია, რომ „ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების საგანმანათლებლო პროგრამაზე უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით; ასევე, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების (სპეციალობაში და უცხო ენაში - ინგლისური ენის B1 დონე) შედეგების მიხედვით.“ ამ შემთხვევაში არის ტექნიკური ხარვეზი და ერთიანი ეროვნული გამოცდების მაგივრად უნდა ეწეროს საერთო სამაგისტრო გამოცდები. უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის, შესაძლებელია ეწეროს, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე დასაშვებია სწავლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს უმაღლესი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს უმაღლესი ან მისი ეკვივალენტური განათლება და უმაღლესი განათლების ბოლო ერთი წელიწადი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმეღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge . • ვებინარების, ტრენინგების და საჯარო ლექციების ჩამონათვალი; • ინტერვიუს შედეგები; • კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. • „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს იმგვარად, როგორც ეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონში არის გათვალისწინებული, კერძოდ, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრაფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების და ეროვნული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გათვალისწინებით ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითა¬რების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპო¬ნენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სავალდებულო სასწავლო კურსები გამიზნულია კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოთი გათვალისწინებული უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის დარგობრივი კომპენტეციების მისაღწევად და მოიცავს კურსებს, რომელთა ფარგლებში სტუდენტს გამოუმუშავდება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რის საფუძველზეც კურსდამთავრებულს მიენიჭება გეოგრაფიის მაგისტრის ხარისხი. ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის ერთ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავებაა.

ამიტომ პროგრამის სასწავლო კურსის უმეტესი წილი დათმობილი აქვს პრატიკულ მეცადინეობებს, პრატიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება აგრეთვე ხდება პროფესიული პრატიკით.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. (1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 საათს). პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 110 კრედიტი, მათ შორის 30 კრედიტის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო 10 კრედიტი - თავისუფალ არჩევით კურსებს.

ფიზიკური გეოგრაფიის პროგრამის სილაბუსიტ გათვალისწინებული კრიტერიუმების ერთობლიობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას მინიჭებული აკადემიური ხარისხი - გეოგრაფიის მაგისტრი, შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკიცაიო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობის ჩამონათვალს.

პროგრამის შედგენაში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ერთად ჩართული იყო სტუდენტები, კურსდამთავრებულები, და დამსაქმებლები, მათი რეკომენდაციისა და რჩევების გათვალისწინებით ხდება პროგრამის სრულყოფა-განვითარება.

პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათთვის, პროგრამის ანოტაციისა და სასწავლო გეგმის განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის მიზნით განსაზღვრული უნარების გამომუავებაში სტუდენტებს დაეხმარება მათი აქტიურად ჩართვა სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესებში.
საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი დეპარტამენტები, აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.
უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, სამეცნიერო პოტენციალთან თანხვედრაშია ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. ამ მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. პროფესორ-მასწავლებლებს გავლილი აქვთ პროფესიული განვითარების არაერთი ტრენინგი.
დამატებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის გეოგრაფიის (ფიზიკური) მაგისტრი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში.
შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: გეოგრაფიის მაგისტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge .
- ინტერვიუს შედეგები;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;
- ბსუ -ის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი;
- ფიზიკური გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის გეგმა;
- სამუშო ჯგუფის ოქმი №5.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად განსაზღვრული წესით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება

პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები ერთმანეთისაგან ლოგიკურად გამომდინარეობს და შინაარსობრივად თანმიმდევრულია. სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის ჩამონათვალს, ასევე, უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა თანაფარდობაშია კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდი მთლიანობაში პასუხობს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული გზები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, განისაზღვრა სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და ა. შ.), ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. თუმცა არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები გასასწორებელი: ა. საგნის „ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის მეთოდები“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში, ერთი მხრივ, მხოლოდ ერთი წიგნია დასახელებული, მეორე მხრივ კი, ტექნიკური ხარვეზი გასასწორებელია (ნაცვლად 2013 წლის გამოცემისა, უნდა იყოს „2014 წ.“). ბ. სასწავლო კურსის „საქართველოს ნიადაგების გეოგრაფია“ სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ჯერ უნდა იყოს მითითებული ავტორები, შემდეგ - ნაშრომი, გამოცემის ადგილი და წელი. ასევე, ნაცვლად გვარისა „ამირხანაშვილი“, უნდა იყოს „ამირანაშვილი“, ხოლო გამოცემის წელი უნდა იყოს 2016 წელი). გარდა ამისა, მეტი სიცხადისთვის მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსების შინაარსი ნათლად ჩანდეს ასახსნელი თემის სათაური, შემდეგ კი - მისი მოკლე სტრუქტურა. წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც ძირითად სასწავლო კურსებს ეთმობა. ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია პროფესიულ პრაქტიკას, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი და სტუდენტი გაივლის, როგორც სასწავლო აქტივობის ნაწილს. პრაქტიკული უნარებისა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების

გამომუშავებისათვის მაგისტრანტი ხელმძღვანელის დახმარებით შეასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი.

თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და კრედიტების რაოდენობა სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და უზრუნველ-ყოფს კურსით გათვალისწინებული მიზნების, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევას.

ამავე დროს, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, ძირითადად, შეესაბამება კურსის, მიმართულებასა და სფეროს უახლეს მიღწევებს. თუმცა არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც უახლესი მიღწევებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიღება ვერ მიიღწევა სრულფასოვნად: ა. მაგალითად, სასწავლო კურსის „პროფესიული პრაქტიკა“ სავალდებულო ლიტერატურაში მოცემულია 2000 და 1992 წელს გამოცემული ნაშრომები; ბ. საგნის „ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის მეთოდების“ დამხმარე ლიტერატურას, აქ უახლესი ნაშრომების მითითების აუცილებლობა დადგინდა (გათვალისწინებულია მხოლოდ 1997 და 1977 წლებში გამოცემული ნაშრომები); გ. ამასთან, სასწავლო კურსის „ლანდშაფტების გეოქიმია“ დამხმარე ლიტერატურა შეიცავს დაახლოებით 30 და მეტი წლის წინ გამოცემულ ნაშრომებს, არადა, მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამ ნაშრომებთან ერთად, უახლესი და უცხოური ნაშრომების მითითების აუცილებლობაა; დ. ასევე, ინგლისური ენის (B2.1) სილაბუსით დამხმარე ლიტერატურა საერთოდ არაა ჩამოთვლილი ისევე, როგორც „ინგლისური ენის (C1.1.)“ სილაბუსში.

გარდა ამისა, სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის გამრავალფეროვნების საჭიროებაც გამოიკვეთა (უახლესი პერიოდული გამოცემებითა და უცხოენოვანი ნაშრომებით).

ასევე, ინგლისური ენის (B2.1) სილაბუსით აქტივობის 40 ქულა გადანაწილებულია შემდეგნაირად: 4-ჯერ 2-ქულიანი წერითი დავალება (სულ 8 ქულა); 4-ჯერ 2-ქულიანი დისკუსია (სულ 8 ქულა); 2-ჯერ 2-ქულიანი როლური თამაში (სულ 4 ქულა); 6-ჯერ 2-ქულიანი წიგნთან მუშაობა (12 ქულა); 4-ჯერ 2-ქულიანი აუდირება (სულ 8 ქულა). აქედან ჩანს, რომ სტუდენტთა აქტივობა სემესტრში უნდა იყოს 20-ჯერ (4+4+2+6+4=20), არადა პირველი გაცნობითი სემინარია და აქტივობა ვერ ჩატარდება, შუალედური გამოცდის კვირას ასევე არ ტარდება გამოკითხვა, შესაბამისად, სტუდენტთა აქტივობისთვის რჩება 12-13 კვირა (და არა 20). ამდენად, დარჩენილი კვირის ფარგლებში ფიზიკურად ვერ ჩატარდება 20 გამოკითხვა. ანალოგიური გარემოებებია ასახული „ინგლისური ენის (C1.1.)“ სილაბუსში.

დაზუსტებას საჭიროებს საგნის „პროფესიული პრაქტიკა“ შეფასების კომპონენტებისა და ფორმების რაოდენობა და შეფასებებიც, რადგან 5-ქულიანი ველზე მუშაობისას დაკვირვება-აღწერა ტარდება 10-ჯერ (სულ 50 ქულა), 5-ქულიანი აქტივობა კამერული მუშაობისას - 4-ჯერ (სულ 20 ქულა) და 5-ქულიანი 1 პრეზენტაცია (სულ 5 ქულა). მათი ჯამი არის 75 ქულა (და არა 100). აღნიშნულთან დაკავშირებით სილაბუსით გათვალისწი-ნებულია, რომ 5 ქულა გადაჰყავთ 20 ქულაში და გამოითვლება შემდეგნაირად: სტუდენ-ტის მიერ დაგროვებული ქულათა ჯამი იყოფა სასწავლო კურსით დადგენილ მაქსიმალურ ქულაზე (5-ზე) და მიღებული შედეგი მრავლდება 20-ზე. ბუნდოვანია ასეთი გამოთვლის მექანიზმი. აშკარაა შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შეცვლის საჭიროება.

ამავე დროს, პროგრამას მნიშვნელოვანწილად გააძლიერებს საგნის „დისტანციური

მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხიდან სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა. ასევე, დამსაქმებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ არაა პროგრამით გათვალისწინებული, დარგის მოწესრიგების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლას მეტი ყურადღება დაეთმოს, რადგან კურსდამთავრებულებს ევალებათ რეგულაციებთან მუშაობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სპეციალობის ფარგლებში სასურველია არჩევითი საგნების გამრავალფეროვნება. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია საჯაროა, კერძოდ, პროგრამის ანოტაცია და სასწავლო გეგმა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; • გამოკითხვის შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, https://eqe.ge/res/docs/matsne-4480034-0.pdf ; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge .
რეკომენდაციები: • არჩევითი სასწავლო კურსი „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი; • ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“) სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დამუშავების შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნების დახვეწა, დეტალური აღწერა, აკადემიური წერის სტანდარტების მეტად გათვალისწინება. • ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“, „ინგლისური ენა B2.1”, „ინგლისური ენა C1.1.”) სილაბუსით შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების დაკონკრეტება, ასევე აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ მათი განხორციელება რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება; • სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება; • სასურველია, სილაბუსებში უფრო დეტალურად აისახოს პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა, ხოლო სალექციო მეცადინეობებში უფრო ნათლად გაიწეროს თემის სათაური და მისი მოკლე სტრუქტურა; • სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის გამრავალფეროვნება

უახლესი ქართული და უცხოენოვანი წყაროებით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით საქმიანობა დარეგულირებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე. აკადემიურ პერსონალთან ერთად, სამეცნიერ-კვლევით ღონისძიებებში ჩართულია რამდენიმე სტუდენტიც. სტუდენტები, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, ყოველწლიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. წარმატებული კვლევის მასალები მხარდაჭერილია ბეჭდვითი სახით გამოცემით და დაფინანსებით. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა მაგისტრანტმა დაამუშავა ლექტორთან ერთად ნაშრომი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. გარდა ამისა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ისე სტუდენტებსა და

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების მექანიზმი. კერძოდ, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია დებულება „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დებულების მიზანია, დაადგინოს სტუდენტთა ინდივიდუალური, ერთობლივი ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცე-დურა. ინტერვიუდან დგინდება, რომ იყო სტუდენტური ინიციატივის დაფინანსების შემთხვევაც, რაც ამ წესის აქტიურ სასწავლო პროცესში განხორციელებასა და სტუდენტთა წამოწყებების ხელშეწყობა-მხარდაჭერას ადასტურებს. ასევე, 2017 წელს სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის დებულებაში მონაწილეთა წახალისების მიზნით შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კონფერენციაზე გამოვლენილი საუკეთესო ნაშრომები იბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში. კონფერენციის ყველა მონაწილეს და სამეცნიერო ხელმძღვანელს გადაეცემა სხვადასხვა ხარისხის დიპლომი, ხოლო ნაშრომის ავტორებს - ფულადი პრიზები.

ამავე დროს, წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ პრაქტიკული საათები უმეტესწილად არაა გაწერილი. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, ეს განპირობებულია იმით, რომ ლექტორი არ მოექცეს ჩარჩოებში და არ იყოს შეზღუდული სილაბუსით. თუმცა მაინც იგრძნობა სილაბუსებით პრაქტიკული საათების გათვალისწინების აუცილებლობა, ეს პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია სტუდენტთათვის საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან.

ამასთან, ბუნდოვანია ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ სამაგისტრო ნაშრომს არ აქვს წინაპირობა. ჩნდება შეკითხვა: თუ მაგისტრანტმა სავალდებულო და არჩევითი საგნები არ გაიარა, პირდაპირ შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გასვლა? ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესთან დაკავშირებით არის გარკვეული საკითხები დასაზუსტებელი: „სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის 40%-ზე-ისა გადალახვის შემდეგ მაგისტრი დაიშვება წინასწარ დაცვაზე.“ სავარაუდოდ, აქ უნდა ეწეროს, ნაცვლად ტერმინისა „მაგისტრი“, ტერმინი „მაგისტრანტი“. ასევე, ძალიან მაღალი პროცენტული ოდენობაა აღებული და კარგი იქნება მისი საერთოდ ამოღება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუდან გაირკვა, აქ უნდა ეწეროს დამთხვევა და არა ტერმინი „პლაგიატი“. ცხადია, ამ კუთხით კარგია. რომ უნივერსიტეტში გამოიყენება Turnitin-ის პროგრამა, მაგრამ უნდა იყოს განსაზღვრული, რამდენი სიტყვა უნდა მიეთითოს პროცენტული ოდენობის დასადგენად (ინტერვიუზე ეს ვერ დასახელდა). გარდა ამისა, ამავე სილაბუსში გათვალისწინებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება დაზუსტდეს სპეციალიზებული კომისიის მიერ უშუალოდ დაცვის წინ. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ამ კრიტერიუმებზე შეიძლება გარკვეული ცვლილებების შეტანა დაცვის წინ და აღინიშნა, რომ ასეთი შემთხვევაც ყოფილა. თუმცა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ეს შეიძლება გაიგებოდეს: უშუალოდ დაცვის წინ კომისია უზუსტებს შეფასების კრიტერიუმებს მაგისტრანტს. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა მაგისტრანტი ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, ის ინფორმირებული უნდა იყოს სამაგის-ტრო ნაშრომის შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შესახებ, რათა

სწორედ მათ შესაბამისად დაამუშავოს თემა. ამასთან, საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას (მაგალითად, წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში მე-18 გვერდიდან 21-ე გვერდის ჩათვლით, ასევე, 23-ე გვერდიდან 28-ე გვერდის ჩათვლით პროგრამას მონიშნული აქვს ტექსტის უმეტესობა, მაგრამ წყარო ამ გვერდებზე არაა მითითებული).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები; • მემორანდუმები/ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან; • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულება „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge ; • სტუდენტთა წამახალისებელი ღონისძიებები; • სტუდენტური კონფერენციები.
რეკომენდაციები: • ანტიპლაგიატის პროგრამის (turnitin-ის) დოკუმენტის გამოყენების წესის დაზუსტება და ინფორმირებულობის გაზრდა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი. ისინი ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. აღნიშნულ მეთოდთა ერთობლიობა, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სახელდობრ, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევისათვის, ძირითადად, გამოყენებულია ლექციის, პრაქტიკული და პროფესიული პრაქტიკის სწავლების ფორმები. სწავლება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით: ვერბალური, დემონსტრირება, პრეზენტაცია, წერითი მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, ახსნა-განმარტებითი და სხვ.

თუმცა იგრძნობა რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში დასახელებულ სწავლება-სწავლის მეთოდებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საჭიროება. მაგალითად, სასწავ-ლო კურსი „ლანდშაფტების მრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები“ სილაბუსით გათვალისწინებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ზეპირსიტყვიერი, დემონ-სტრირების, წერითი და დიდაქტიკური. ინტერვიუზე ვერ დაზუსტდა, რა სპეციფიკით გამოიყენება დიდაქტიკური მეთოდი და აღინიშნა, რომ აქ დიდაქტიკური მეთოდი არ უნდა ეწეროს, ტექნიკური ხარვეზია. იგივე ხარვეზი გვხვდება სხვა საგნების სილაბუსშიც (მაგალითად, „გამოყენებითი ეკოლოგია“, „შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამიკა“).

გარდა ამისა, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსიდან ჩანს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდების მრავალფეროვნების აუცილებლობაა. კერძოდ, საგნის „ბიოსფერო და საზოგა-დოება“ სწავლება-სწავლის მეთოდებად დასახელებულია ზეპირი, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებისა და წერითი მეთოდები; სასწავლო კურსის „შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამიკა“ სილაბუსით გათვალისწინებულია ზეპირსიტყვიერი, დემონ-სტრირების, წერითი, დიდაქტიკური და სტატისტიკური. არადა აუცილებელია იმ მეთოდებზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული, მით უფრო, მაგისტრატურის საფეხურზე. აქვე ბუნდოვანია ინგლისური ენის (B2.1) სილაბუსით როლური თამაში, რომელიც სწავლა-სწავლების მეთოდია, რა სპეციფიკით ფასდება და განიხილება შეფასების ფორმად. იგივე შეიძლება ითქვას წიგნთან მუშაობაზე. ანალოგიური გარემოებები ჩანს „ინგლისური ენის (C1.1.)“ სილაბუსში.

ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული აქვს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, რომელიც ითვალისწინებს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს. ამდენად, შესაძლებელია საჭიროებისამებრ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება.

ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაცია მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის კვალიფიკაციათა აღმწერით არის განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა კონცენტრირებულია დისციპლინის კომპლექსურ შესწავლაზე – თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტზე, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ აქტივობებზე (ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვ.) მეტი ყურადღების გამახვილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ტრენინგები შეფასების კრიტერიუმებსა და სწავლება-სწავლის მეთოდებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ეფუძნება კანონმდებლობითა და ბსუ-ს მიერ დადგენილი წესებს. შეფასების სისტემა დადგენილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. სასწავლო კურ-სის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია (შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა; შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს 20-ქულიან შუალედურ გამოცდას და მიმდინარე შეფასებებს, რომლებიც ფასდება მაქსიმუმ 40 ქულა. შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა); დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა); სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება ელექტრონულ ჟურნალებსა და უწყისებში. სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, ანუ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არაა საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

უნივერსიტეტში განსაზღვრულია სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძვლები (გამოცდების ჩატარების ინსტრუქციისა და ეთიკის წესების დარღვევა; დასკვნით გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადაულახაობა).

ამასთან, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის იმართება ელექტრონული სისტემის (spm.bsu.edu.ge) მეშვეობით.

თუმცა ინტერვიუებიდან დგინდება, რომ არის სტუდენტთა ინფორმირებულობისა და მეტი გამჭვირვალეობის აუცილებლობა. მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება შესაძლებელია კომისიის მიერ დაცვის წინ იძლევა“ უნდა იყოს შეცვლილი, ან ამოღებული. ამასთან, არის ამ ჩანაწერის ორგვარად გაგების შემთხვევებიც (პროგრამის ხელმძღვანელთა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა მხრიდან).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge ;
- ინტერვიუს შედეგები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №785 ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №3 ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებს, პირველი სემესტრის დასაწყისში უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტის ელექტრონული სისტემის, ორგანიზაციული საკითხებისა და უსდ-ში არსებულ სხვა დამხმარე სერვისებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის აკადემიურ მხარესთან მიმართებით, სტუდენტებს კონსულტირებას უწევს გეოგრაფიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი. დეპარტამენტში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეები/განრიგი. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები

სისტემატიურად სარგებლობენ შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემით, რომლითაც შეუძლიათ ეკონტაქტონ ლექტორებს, ხელმძღვანელებს და მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. ინტერვიუს მიმდინარეობისას, სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ შიდა ელექტრონული საუნივერსიტეტო სისტემა მოქნილი და გამართულია, რაც ეხმარებათ სასწავლო და საორგანიზაციო საკითხების მართვაში. აღსანიშნავია, რომ სისტემაში სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ მიღებული შეფასებების შესაბამის უკუკავშირს კომენტარების სახით, ამდენად მიიღონ ინფორმაცია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

უსდ-ს ელექტრონულ პორტალზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაცია შემოთავაზებული სიმპოზიუმების, საზაფხულო სკოლების, გაცვლითი პროგრამების, კონფერენციებისა და ტრენინგ-კურსების შესახებ. აღნიშნულ აქტივობებში ჩართვის მიზნით, დაინტერესებულ სტუდენტს საშუალება აქვს, მოიპოვოს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დაფინანსება.
საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, კონფერენციებისა და მობილობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახდენს. უსდ-ს ორგანიზებით, ტარდება სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები, რომლთა მიზანია, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება და ახალგაზრდა მკვლევარების წახალისება. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მათთვის მუდმივად ხელმისაწვდომია, მონაწილეობდნენ ან ახლო მომავალში აპირებენ ჩართვას მსგავსი ტიპის ღონისძიებებში.

აღსანიშნავია. რომ კურიკულუმს მიღმა, სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებშიც, რომლის ორგანიზებას სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, ასევე სტუდენტური თვითმმართველობა ახდენს. კურსდამტავრებულთა კვლევის შედეგების მიხედვით, კურიკულუმის შიდა და გარე აქტივობებისთვის წახალისებას, რესპონდენტეთა 100% ხუთ ბალიან შკალაზე, 4 ან 5 ბალით აფასებს. კარიერული მხარდაჭერის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს ელექტრონულ პორტალზე შექმნილი აქვს ელექტრონული CV-ების გენერირების ოფცია. სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში, სტუდენტთა CV-ები ავტომატურად ხდება დამსაქმებელთათვის ხელმისაწვდომი. ინტერვიუს დროს, სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვნად უწყობთ ხელს დასაქმების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 23 აპრილი N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და

სპორტის სამსა-ხურის დებულება“. იხ. ბმული https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8446_1.pdf. დანართი 3.1.1;

- საკონსულტაციო განრიგი. დანართი 3.1.2;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულება (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N02, 15.02.2017); იხ. ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5712_1.pdf. დანართი 3.1.3;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯე-რადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენ-ლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N05 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე. იხ. ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9640_1.pdf. დანართი 3.1.4;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილება, ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ. იხ. ბმული https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9744_1.pdf. დანართი 3.1.5;
- სტუდენტური პორტალი, https://portal.bsu.edu.ge/. დანართი 3.1.6;
- სერტიფიკატები. დანართი 3.1.7.
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

✓

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კერძოდ ხელმძღვანელთა CV-ების საფუძველზე, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის თითოეულ მაგისტრანტს ჰყავს შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მქონე, კვალიფიციური ხელმძღვანელი.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს მაგისტრანტთა ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი, („ბსუ-ში მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობის და ხელმძღვანელობის პროცესის შესახებ დადგენილება“) სადაც აღწერილია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ნაშრომის არჩევისა და შესრულების პროცესი. დოკუმენტის მიხედვით, ნაშრომის თემატიკის არჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინტერესები, რასაც ადასტურებდნენ კურდამთავრებულები და სტუდენტები ინტერვიუს მიმდინარეობისას. სამაგისტრო ნაშრმოების თემატიკის შერჩევა ხორციელდება დეპარტამენტის სხდომაზე, შემდგომ ფაკულტეტის საბჭო უზრუნველყოფს თემების დამტკიცებას.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუირებს დროს, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ რეგულარულად უტარდებათ/უტარდებოდათ კონსულტაცია ნაშრომზე მუშაობისას წარმოქმნილ შეკითხვებთან და კვლევის წარმართვის პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ: კვლევის დიზაინის შერჩევა, კვლევის მეთოდების სატანადო გამოყენება, პროექტის მენეჯმენტი, ნაშრომის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება და სხვ. ამასვე ადასტურებდნენ თემის ხელმძღვანელებიც. კონსულტაციებს შორის მინიმალურ შუალედად დასახელდა კვირაში ერთი კონსულტაცია, თუმცა აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა უფრო ხშირი და ინტენსიური კომუნიკაცია. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის დეკემბერში ჩატარებული, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ლექტორების მხრიდან მიღებული უკუკავშირის სისტემატიურობა ხუთ ბალიან შკალაზე რესპონდენტთა 80%-მა 5 ქულით, ხოლო 20%-მა 4 ქულით შეაფასა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ში მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობის და ხელმძღვანელობის პროცესის დადგენილება. დანართი 3.2.1;
- დეპარტამენტის სხდომის ოქმები. დანართი 3.2.2;

- პერსონალის CV-ები. დანართი 3.2.3.
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევაში მკაფიოდ გამოიყოს კითხვა/კითხვები, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელით კმაყოფილებისა და კონსულტაციების სისტემატიურობის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. უნივერსიტეტმა წარმოადგინა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე“ თანამდებობრივი ინსტრუქციები” “ფაკულტეტის დებულება” და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების ამსახველი იფნორმაცია, სადაც გაწერილია ფაკულტეტის წარმომადგენლების სამუშაო აღწერილობები და ინსტრუქციები. აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხით, მიღწევებით, ბოლო 5 წლის სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური/მოწვეული პერსონალი გარდა სასწავლო პროცესისა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამას ახორციელებს 8 აკადემიური და 2 მოწვეული მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. აკადემიური პერსონალიდან 2 პროფესორია, 3 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი. თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 8/1, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N4 გადაწყვეტილება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე, კერძოდ, N1 დანართით განსაზღვრულია, რომ პროფესორის არჩევა აკადემიურ თანამდებობაზე ხდება 6 (ექვსი) წლის ვადით, ხოლო უვადოდ არჩევა შეიძლება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია სხვადასხვა მოთხოვნა. თუმცა, ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-6 მუხლის 1[3]-ლი ნაწილის მიხედვით, თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ითვლება, რომ უვადო შრომითი ხელშეკრულებაა დადებული. შესაბამისად, როცა დგინდება, რომ ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში შრომითი ურთიერთობის ხანგრლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებული ხელშეკრულება უვადოა. შესაბამისად, 6 (ექვსი) წლით პროფესორისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ვადის ამოწურვის საფუძვლით ვერ იქნება გამართლებული. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელებს ნაზიბროლა ფაღავას და ხათუნა ჯიჯილეიშვილს აქვს პროგრამი შემუშავებისათვის და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი მაღალკვალიფიკაციურობა დასტურდება გეოგრაფიის დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო აქტივობებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა; • თანამდებობრივი ინსტრუქციები; • საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • პერსონალის პირადი საქმეები; • პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულება და პირადი საქმე; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, მიღების თარიღი: 2010 წლის 17 დეკემბერი, N4113-რს; • ინტერვიუს შედეგები; • მემორანდუმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში დასაქმებული პერსონალის (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ) კვალიფიკა-ციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განხილვა-სრულყოფის, სასწავლო მასალის მომზადების პროცესში, სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო პროექტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობის შეფასებას, სასწავლო პროცესების მონიტორინგს, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და სხვა. ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. როგორც

ინტერვიუების მსვლელობისას გახდა ცნობილი, უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს უნივერსიტეტში დასაქმებული პირების დაფინანსებას პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში, არაუმეტეს ერთი თვის ვადისა და მოითხოვოს ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფარგლებში სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება. სამივლინებო თანხა მოიცავს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სარეგისტრაციო მოსაკრებელს, მგზავრობის და დღიურ ხარჯებს. სამივლინებო ხარჯებს არეგულირებს პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელებას ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, რისთვისაც თანადაფინანსების პრინციპით მოქმედებს ინგლისური ენის სერტიფიცირებული კურსები. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების წამახალისებელი ღონისძიებების სისტემა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, სამეცნიერო პოტენციალთან. ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობას და კვლევების ინტერნაციონალიზაციას, თუმცა ამ მიმართულებით ფაკულტეტს ჯერ კიდევ გასაუჯობესებელი აქვს აქტივობები წარმოდგენილო პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბსუ-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ხელშეწყობით პერიოდულად ხდება უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ ზრდას.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას ხელს უწყობს, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც გარკვეული ღონისძიება დაფინანსდა, უშუალოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის CV;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ ჩატარებული პროფესიული ტრენინგების ჩამონათვალი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტი დაეხმაროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეროვნული და საერთაშორისო გრანტების მოძიებაში;
- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების ამოქმედება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით (მათ შორის, ლაბორატორიებით, სასწავლო-კვლევითი კაბინეტებით); სტუდენტებს აქვთ წვდომა გეოგრაფიული, გეოლოგიური, აგრარული, ზოლოგიური და ბოტანიკური სასწავლო ლაბორატორიის რესურსებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ და საველე კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით. პროგრამას აგრეთვე, ემსახურება გარემოს ეროვნული სააგენტოს მდინარეებისა და ზღვის მონიტორინგის განყოფილების ბათუმის ლაბორატორია; გარემოს

ეროვნული სააგენტოს შავი ზღვის ჰიდრო მეტეოროლოგიური ობსერვატორია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბათუმის სტაციონარი, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი.

უნივერისტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს:

- სამკითხველო დარბაზებს;
- ჯგუფური მუშაობის სივრცეებს;
- მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს;
- კომპიუტერულ რესურსცენტრებს;
- შეხვედრების ოთახს;
- წიგნსაცავებს.

უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eLFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესუსები: EBSCOHost (http://search.epnet.com), (Cambridge University Journals (http://journals.cambridge. org), OxfordUniversityJournals (http:/oxfordjournals.org), Oxford Reference Online (http://oxfordreference.org), Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing. org), BioOne (http://bioone.org)). ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული ვერსიები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბსუ-ს მეორე კორპუსში არსებული ინტერნეტ-ქსელში ჩართული სხვა კომპიუტერული კლასებიც.

შიდა და გარე გრანტებით დაფინანსება საშუალებას იძლევა, უნივერსიტეტში კვლევებთან ერთად განხორციელდეს შესაბამისი მიმართულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-შესყიდვა, თუმცა სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების არსებული დინამიკის შენარჩუნება და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გაძლიერება და გაღრმავება;

უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული პანდემიის ფონზე, როდესაც შეიზღუდა საუდიტორიო მუშაობა, უნივერსიტეტი ეფექტურად გადავიდა ონლაინ დისტანციური სწავლების რეჟიმზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;

- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- სამეცნიერო ბაზები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სტუდენტთა გამოკითხის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების დინამიკის შენარჩუნება და კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის გაძლიერება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“ უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი (ბსუს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 31 მარტის N01-10/26 ბრძანების დანართი N1).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულად უზრუნველსაყოფად, საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, დაკონკრეტდეს დაგეგმილი ძირითადი აქტივობები;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მოწესრიგებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხს, პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას, რეაგირებას და სხვა საკითხებს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, რომლებიც ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული და მოქმედი ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად. იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. ამ პოლიტიკის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და

განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლებთან შეხვედრა, მათი ელექტრონული გამოკითხვა. ეს მექანიზმები განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპებს. თუმცა ირკვევა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების წესზე, პროცედურულ და შინაარსობრივ საკითხებზე, ასევე, აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით აუცილებელია მეტი მუშაობა. საქმე ისაა, რომ სილაბუსი სტუდენტს უნდა აძლევდეს ინფორმაციას, რაა სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების მიზანი, რა უნდა აისახოს კვლევის შესავალში, რომელი საშუალებებითა და მეთოდებით უნდა მიაღწიონ დასახულ მიზნებს და სხვა. აქვე სილაბუსიდან უნდა ირკვეოდეს, წყაროების მითითების რომელი წესის დაცვით უნდა ასახოს მაგისტრანტმა ნაშრომში მოიძიებული მასალა (სახელმძღვანელო, სტატიები...).

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპები რეალიზდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სწავლის, სწავლების ხელშეწყობის, სასწავლო რესურსების, მომსახურების შეფასება-სრულყოფისა და სხვა პროცედურის გზით. აქვე დგინდება სტუდენტთა ინფორმირებულობის მიმართულებით მეტი მუშაობის აუცილებლობა.

ამასთან, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად უნივერსიტეტში შემუშავდა და განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. შეფასების პროცესში ძირითადი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებას, დადგინდა შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები. თუმცა ინტერვიუდან ჩანს, რომ წახალისების მექანიზმად აღიქმება 1000 ლარის ფარგლებში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, რაც აფილირების ფარგლებში ისედაც უნდა მოიაზრებოდეს. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებებს (მაგალითად, ფულადი ჯილდო და სხვა), როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ისინი არ გამოიყენება.

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერ-სიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოს-წრების დამუშავების ელექტრონული სისტემა. ამ სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. ჩანს, რომ კონფიდენციალობის დაცვის მექანიზმზე მეტად უნდა გამახვილდეს ყურადღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები;
- ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუ;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით;
- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება;
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შესაძლოა,

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი რეგულარულად იყენებს ხარისხის შეფასების გარე საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია პროგრამის დახვეწა. გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებად

გათვალისწინებულია: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ. თუმცა ვთქვათ, პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა გარე ხარისხის ობიექტური შეფასების კრიტერიუმად გარკვეულწილად შესაძლოა, ვერც გამოდგეს. მნიშვნელოვანია გარე შეფასებისას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისთვის უფრო მეტად დამოუკიდებელი და კვალიფიციური ექსპერტიზის მიღების მექანიზმი შეირჩეს.

გარე კოლეგიალური შეფასების დროს გამოითქვა რეკომენდაციები პროგრამის მიზნების ნათლად ჩამოყალიბებასა და შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით. ამასთან, დასკვნით დადგენილია, რომ შეფასების მეთოდები, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე კარგი იქნება მუშაობის გაგრძელება, დღესდღეობითაც დგას ამის საჭიროება (იხ. სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.3, 2.5).

წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პერიოდული კვლევები, რომლებიც შეეხება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას სასწავლო პროცესის ორგანიზების თაობაზე, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, მომსახურების კმაყოფილების შესწავლასა და ანალიზს, სტუდენტთა სამეცნიერ-კლვეით პროექტებში ჩართულობის შეფასებას, აფილირებული და არააფილირებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობას, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აბიტურიენტთა განაცხადებისა და ჩარიცხვის მაჩვენებლების ანალიზს და სხვა.

ამავე დროს, პროგრამის გარე შეფასებისთვის პროგრამის ძირითადი საფუძვლები განხილულ იქნა დამსაქმებლებთან. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, შევიდა გარკვეული ცვლილებები კურიკულუმში, პროგრამას დაემატა პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტები, გაიზარდა პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობებისა და ჯგუფში მუშაობის წილი. საერთო ჯამში, დადებითად შეფასდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის მიზნები და შედეგები;
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- სამაგისტრო პროგრამის გარე ექსპერტიზა;
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დახვეწა და ამ ფარგლებში გამოთქმული

რეკომენდაციების უფრო მეტად გათვალისწინება; • კარგი იქნება, გარე შეფასების ფორმაში იყოს ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების დასაბუთება-ახსნისთვის სათანადო გრაფა, რომელშიც მოკლედ იქნება პროგრამასთან დაკავშირებით მიგნებები არგუმენტირებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანია საგან-მანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასება და განვითარების ხელშეწყობა. აქ მოიაზრება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების, დასაქმების ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების სრულყოფა. ამასთან, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, კერძოდ, მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგსა და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის

შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვაც.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი საქმიანობის შეფასება, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება და სხვა) და გარე შეფასების მექანიზმებით (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა და სხვა) ადგენს პროგრამის განხორციელებაში არსებულ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ისინი განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა. ცვლილებების ჩამოყალიბებაში დიდი ყურადღება ექცევა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წინადადებებს. ასევე, ყურადსაღებია სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგების, გამოყენებული ლიტერატურის მიმართ.

გარდა ამისა, სტუდენტთათვის მოქმედი ელექტრონული მომსახურება მოქნილია მონიტორინგის თვალსაზრისითაც, რადგან ამ გზით მოწმდება შემოწმებულ დავალებებზე უკუკავშირი.

პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა გამოკითხვები პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მიზნების, სილაბუსის შინაარსის, შეფასების სისტემასის, საბიბლიოთეკო და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების თაობაზე. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, შედეგების გაანალიზების საფუძველზე, პროგრამაში შევიდა რეკომენდაციები. მაგალითად, კურიკულუმში „გრავიტაციული პროცესების როლი ლანდშაფტების ფორმირებაში“ კურსი შეიცვალა „საქართველოს გეომორფოლოგიური პროცესებით გამოწვეული პრობლემებით“, სასწავლო კურსის სახელწოდება „ბუნებათსარგებლობა და ბუნების დაცვა“ ჩამოყალიბდა ასე: „ბუნებათსარგებლობის პრობლემები“; სასწავლო კურსი „ლანდშაფტების მრავალფეროვნება და ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების საფუძვლები“ შეიცვალა „ლანდშაფტების მრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიებით“, ასევე, რიგ სასწავლო კურსებში აისახა კვლევითი კომპონენტები და სხვა. თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსიდან დგინდება სწავლება-სწავლის მეთოდების, განსაკუთრებით ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების ასახვის საჭიროება. მართალია, გარკვეული რეკომენდაციები აისახა პროგრამაში, თუმცა ინტერვიუდან ირკვევა, რომ განსაკუთრებული და არსებითი ცვლილება პროგრამას, სასწავლო კურსების სილაბუსებთან ერთად, არ განუცდია. შესაბამისად, მონიტორინგის უფრო მეტი ეფექტიანობის საჭიროება იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა: www.apa.bsu.edu.ge;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ლექციაზე დასწრების ფორმა;
- სტუდენტთა გამოკითხვები https://portal.bsu.edu.ge/ ;
- ინტერვიუს შედეგები;

- პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა.

რეკომენდაციები:

- შიდა ხარისხის მონიტორინგის უფრო ეფექტიანად წარმართვა, კერძოდ, შეფასებების ანალიზი, როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსთა სილაბუსების სრულყოფის მიზნით. ასევე საკვლევი ინსტრუმენტების (კითხვარების) დახვეწა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნოდარ ფოფორაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მარიამ ელიზბარაშვილი



მიხეილ ბიჭია

მარიამ ლობჯანიძე